ინტერვიუ ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის იუსტიციის მინისტრთან, დოქტორ ბენიამინ ლიმბახთან

ბატონო ლიმბახ, თქვენ შეხვედრები გქონდათ საქართველოს მრავალ დაწესებულებაში. რომელ უწყებასთან ისურვებდით თანამშრომლობას?

საქართველო გერმანიასთან ერთად მუშაობს პენიტენციური სისტემის მოდერნიზებაზე. ჩვენ ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიაში მხარს ვუჭერთ ამ ინიციატივას გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების მეშვეობით, ვიწვევთ რა ექსპერტებს ჩვენი სასჯელაღსრულების სისტემიდან, რათა რჩევები მისცენ ჩვენს კოლეგებს საქართველოში.

გარდა სასჯელაღსრულების სისტემაში თანამშრომლობისა, მე ვესაუბრე უზენაესი სასამართლოსა და საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეებს სასამართლოებს შორის სასამართლო პარტნიორობაზე, რათა უზრუნველყოფილი იქნეს პირდაპირი დიალოგი ჩვენი ქვეყნების მოსამართლეებს შორის. ძალიან მოხარული ვიქნები, თუ ამ მხრივ სამომავლოდ მიღწეული იქნება აზრთა აქტიური გაცვლა.

როგორც ამბობენ, თუ უცხო ქვეყანაში შთაბეჭდილების შექმნა გსურთ, ინდიკატორად უნდა ეწვიოთ მის სასჯელაღსრულების დაწესებულებებს. თქვენ მოინახულეთ რუსთავის №5 ქალთა და №16 სასჯელაღსრულების დაწესებულებები. როგორ შეაფასებდით იმას, რაც ადგილზე იხილეთ და როგორი ატმოსფეროა საქართველოს ციხეებში?

შთაბეჭდილება მოახდინა იმ ძალისხმევამ, რომელსაც საქართველო ახორციელებს ჰუმანური და მკურნალობაზე ორიენტირებული სასჯელაღსრულების დაწესებულებების სისტემის შესაქმნელად. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება იმას, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში სივრცითი პირობები უზრუნველყოფდეს პატიმართა ჰუმანურ განსახლებას. ამას უპირობოდ ადასტურებს ორივე დაწესებულება, რომელსაც ჩვენ ვესტუმრეთ: ისინი ჩანდა მოვლილი და ჰქონდა კარგი ინფრასტრუქტურა. ძალიან სასიხარულოა, რომ შეიქმნა ახალი დაწესებულებები პატიმართა ჯგუფების განსაკუთრებული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, მაგალითად, ახალგაზრდა პატიმარი ქალებისთვის ან პატიმარი ქალებისთვის ბავშვებთან ერთად.

რა თქმა უნდა, რთულია ციხეებში არსებული მდგომარეობის გადმოცემა მოკლე

ᲑᲔᲜᲘᲐᲛᲘᲜ ᲚᲘᲛᲑᲐᲮᲘ

BENJAMIN LIMBACH

ვიზიტის ფარგლებში, მაგრამ ჩვენი ვიზიტის დროს ატმოსფერო წყნარი და მშვიდი ჩანდა. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო რუსთავის მე-16 საპყრობილეში სასჯელაღსრულების ყოველდღიური ყოფა.

სასჯელაღსრულების შესახებ კანონმდებლობის ერთ-ერთი მიზანი მსჯავრდებულთა რესოციალიზაციაა. მოგვახსენეთ თქვენი შთაბეჭდილებები საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემაში განხორციელებული რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამების შესახებ და აგრეთვე გვითხარით, თუ რა თანამედროვე მიდგომები შეიძლება გაიზიაროს საქართველომ გერმანიასთან ამ მიმართულებით.

ჩემი ვიზიტის დროს მე და ჩემმა დელეგაციამ განსაკუთრებით დადებითად შევნიშნეთ ორი რამ:

საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემა პატიმრებს უამრავ შესაძლებლობას აძლევს, შეინარჩუნონ და განავითარონ ურთიერთობა ნათესავებთან პატიმრობის პერიოდშიც კი. „ოჯახისადმი მგრძნობიარე სასჯელაღსრულების სისტემის“ შემუშავება, რომელიც მიზნად ისახავს პატიმართა ნათესავებისთვის თავისუფლების აღკვეთის უარყოფითი შედეგების მინიმუმამდე შემცირებას, ასევე ერთ-ერთი ის საკითხია, რომელზეც ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის სასჯელაღსრულების სისტემა ინტენსიურად მუშაობს.

მეორე მხრივ, მონახულებულ ციხეებში აღინიშნა პატიმრებისთვის ციფრული წვდომის შესაძლებლობა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში არსებულ მრავალ სახელმწიფო მომსახურებაზე.

სასჯელაღსრულების დაწესებულებაში შეთავაზებული მომსახურებები, როგორიცაა, პირადობის მოწმობების, მართვის მოწმობების ან მიწის რეესტრის ჩანაწერების მიღება, ხელს უწყობს პატიმრების რეინტეგრაციას გათავისუფლებისთანავე და წარმოადგენს წარმატებული რესოციალიზაციის მნიშვნელოვან ელემენტს.

ვფიქრობ, რომ ორივე ქვეყნის ექსპერტებს შორის ამ ღონისძიებებთან დაკავშირებულ გამოცდილებასა და პრობლემებზე დიალოგი შეიძლება იყოს ძალიან ნაყოფიერი ორივე მხარისთვის.

ვიზიტის დროს განხილული იქნა ასევე სხვა მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც თანაბრად აისახება სასჯელაღსრულების დაწესებულებების პრაქტიკაზე გერმანიასა და საქართველოში, როგორიცაა, პატიმართა პროფესიული ინტეგრაციის მნიშვნელოვანი შესაძლებლობების შექმნა ან ფსიქიკურად დაავადებულ პატიმრებთან მუშაობა. მიზანშეწონილია ასევე ამ თემებთან დაკავშირებით აზრთა მიმოცვლა.

თქვენ წაიკითხეთ საჯარო ლექცია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ახალგაზრდობა ქვეყნის მომავლის სარკეა. როგორია თქვენი შთაბეჭდილება?

იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებთან ერთად განვიხილეთ ევროპული ფასეულობებისა და ევროპული სამართლის მნიშვნელობა წევრი ქვეყნების ინტეგრაციისთვის. აშკარად ვიგრძენი სტუდენტების სურვილი, აქტიური მონაწილეობა მიიღონ თავიანთი ქვეყნის განვითარებასა და ევროინტეგრაციის პროცესში.

ერთ-ერთმა სტუდენტმა მკითხა, რისი გაკეთება შეუძლიათ ახალგაზრდებს ევროპული ფასეულობების განხორციელებისთვის. ეს მნიშვნელოვანი კითხვა ჩნდება ევროპის ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში. ჩემი პასუხია: წადით არჩევნებზე, აიღეთ პასუხისმგებლობა და შეიტანეთ წვლილი საზოგადოებაში თქვენი შეძენილი პროფესიული ცოდნის გამოყენებით, მაგალითად, სასამართლო ან სამთავრობო უწყებებში მუშაობით.

როგორც ვიცით, ეს იყო თქვენი პირველი ვიზიტი საქართველოში. ჩამოსვლამდე თქვენ მიიღეთ ინფორმაცია საქართველოს, მისი კულტურის, ისტორიის, თანამედროვე სამართლებრივი და პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ. იყო თუ არა განსხვავება განაგონსა და ნანახს შორის?

უშუალოდ ადგილზე მიღებული შთაბეჭდილება ყოველთვის საუკეთესოა. მოგზაურობამდე ბევრი გავიგე საქართველოს სტუმართმოყვარეობისა და მდიდარი კულტურის შესახებ. ორივემ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. საქართველოსა და გერმანიას აკავშირებს ათწლეულების განმავლობაში განვითარებული ახლო მეგობრობა.

გამაოცა იმან, თუ რამდენი ადამიანი საუბრობს გერმანულად, იგრძნობა კავშირი ევროპასა და გერმანიასთან. საქართველო არის წინ მიმავალი ქვეყანა, რომელმაც უკანასკნელ წლებში წამოიწყო მრავალი რეფორმა ევროკავშირში გაწევრიანების მიზნით. დიდი იმედი მაქვს, რომ ის გააგრძელებს ამ გზას და შეძლებს, გახდეს ერთიანი ევროპის ნაწილი.